პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 1944 წ. № 244 (7197). ფასი 20 კაპ.

5 დეკემბერი სტალინური კონსტიტუციის დღეა.

სტალინური კონსტიტუციის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ პეტროვს ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ კორჟენევიჩს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების დახმარებით, დღეს, 3 დეკემბერს, იერიშით დაიკავეს უნგრეთის საოლქო ცენტრი ქალაქი შატორალია-უიხელი — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ შატორალია-უიხელის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ ბასტილოვიჩის, გენერალ-ლეიტენანტ ეშაჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ მედვედევის, პოლკოვნიკ ჩორნის, პოლკოვნიკ უბრიუმოვის, პოლკოვნიკ ვინოგრადოვის, პოლკოვნიკ ვასილიევის, პოლკოვნიკ ტეტენკოს, პოლკოვნიკ კარნაჩევის, მაიორ ბრიგორიევის, მაიორ ნარიკოვის, მაიორ სოტნიკოვის, მაიორ შჩერბაკოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კარიოფილის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნაიდენკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კორეცკის, პოლკოვნიკ იაკოვლევის, პოლკოვნიკ ბოლბატის, პოლკოვნიკ ნიკიტინის, პოდპოლკოვნიკ კვიატკოვსკის, პოდპოლკოვნიკ ბრეზნევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შირობოკოვის, პოლკოვნიკ მორუსინის, მაიორ ფროლოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უდანოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ ჟურინის, პოლკოვნიკ ბარაშის, პოლკოვნიკ კლიუჩნიკოვის, პოდპოლკოვნიკ ნაუმოვის, პოლკოვნიკ ბუდარინის, ინჟინერ-მაიორ დმიტრიევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, პოლკოვნიკ ნეკრასოვის, პოდპოლკოვნიკ შჩერბაკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ შატორალია-უიხელის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 3 დეკემბერს, 20 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 და მე-2 ფრონტების მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი შატორალია-უიხელი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ქალაქ შატორალია-უიხელის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 3 დეკემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დღეს, 3 დეკემბერს, იერიშით დაიკავეს კომუნიკაციათა დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ქალაქი მიშკოლცი—უნგრეთის სამხედრო წარმოების უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელიც ამარაგებს გერმანელთა და უნგრელთა არმიებს.

ქალაქ მიშკოლცის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ტროფიმენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ეშაჩენკოს, გენერალ-მაიორ ბრაგინის, გენერალ-ლეიტენანტ შარაპოვის, გენერალ-მაიორ რუმიანცევის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრუშევსკის, გენერალ-მაიორ სემიონოვის, გენერალ-ლეიტენანტ გორიაჩევის, გენერალ-მაიორ მერკულოვის, პოლკოვნიკ საჟინის, პოლკოვნიკ ცალაის, გენერალ-მაიორ კარლოვის, პოლკოვნიკ გორობეცის, პოლკოვნიკ ერიომინის, გენერალ-მაიორ მიხაილოვის, პოლკოვნიკ ხოხლოვის, გენერალ-მაიორ უმანსკის, პოლკოვნიკ გოჩკოვის, გენერალ-მაიორ ტიმოშკოვის, პოდპოლკოვნიკ საველიევის, პოდპოლკოვნიკ მამედოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ შმაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლებედევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოპოვიჩის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სელეზნევის, ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სტეპიჩევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ცირლინის, პოლკოვნიკ პონომაშის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ პეტროვის, პოლკოვნიკ პავლენკოს, პოლკოვნიკ ბუდარინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ლეონოვის, პოლკოვნიკ აგაფონოვის, პოლკოვნიკ გორელკინის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ მიშკოლცის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „მიშკოლცის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 3 დეკემბერს, 21 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი მიშკოლცი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ მიშკოლცის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 3 დეკემბერი.

სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის დროშით

სსრ კავშირის კონსტიტუციის მერვე წლისთავს, 5 დეკემბრის დღეს, ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ სამამულო ომის ბრძოლებში, მაგრამ უკვე მოახლოებული გამარჯვების მოჯანზე ვგებებ.

„დიდ სამამულო ომში ჩვენ დავიცავით ჩვენი სამშობლო დამპყრობთაგან, სამოლოდ მოვსპეთ ფაშისტი მტარვალების მიერ სსრ კავშირის ხალხთა დამონების საფრთხე და ახლა სრული გამარჯვების წინაშე ვდგეკართ“,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება სტალინური კონსტიტუციის გამარჯვებაა. მის მუხლებში ჩამოყალიბებულია საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლები, ხოლო ეს საფუძვლები წითელი არმიის ძლიერების, საბჭოთა ზურგის ძლიერების წყაროა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო შეურყეველად დგას ომიანობის დროის ქარიშხალში. მან დაგვანახვა თავისი სიმტკიცე ომის წინ. იგი კიდევ უფრო მტკიცე გამოდის ომიდან. სსრ კავშირის კონსტიტუცია ისტორიული დოკუმენტია, რომელიც მეტყველებს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმისა და სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე. ეს გამარჯვებანი მოპოვებულ იქნა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომით მშვიდობიანობის დროს. ახლა ამ გამარჯვებებს ერთვის გმირი საბჭოთა ხალხის მიერ ომის დროს მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებანი.

„ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ დიადი და უძლეველი ძალა მისცა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას“. (ი. სტალინი).

სსრ კავშირის კონსტიტუცია არა მარტო დიადი ქარტიაა თავისუფალი ხალხისა, არა მარტო ძეგლია ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა. სსრ კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს, როგორც ხალხის მოქმედების სახელმძღვანელო. ყოველი მუხლი აღმართულია მსოფლიოს წინაშე, საბჭოთა ადამიანებით, მათი საგმირო საქმეებით, სამშობლოსადმი მათი თავდადებული სიყვარულით ხორცშესხმული.

წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა მტერს, განდევნა იგი საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან, აღადგინა მშრომელთა საბჭოების ხელისუფლება რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში, რომლებიც სამუდამოდ გაწმენდილია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. წითელი არმია სდევნის მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზე, რათა ბოლომდე გაანადგუროს იგი და სამუდამოდ უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის საზღვრების ხელშეუხებლობა. წითელი არმია პირნათლად ასრულებს თავისი სოციალისტური სამშობლოს დაცვის კანონს, რომელიც ნაკარნახევია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი შრომითი გმირობა გამოიჩინა ახლანდელ ომში. საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობა აქტიურად და სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის სრული შეგნებით ამარაგებს წითელ არმიას, ქალაქებს მშრომელთა სურსათით, ხოლო მრეწველობას — ნედლეულით. მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს შეადგენს, უზრუნველჰყოფს წითელ არმიას ყოველივე ამით, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განძი შეტანა მტრის განადგურების საქმეში. საბჭოთა მეცნიერების საფუძველზე შექმნილია წითელი არმიის მძლავრი ტექნიკა. საბჭოთა კულტურამ მისცა წითელ არმიას მცოდნე, ჭკვიანი, ინიციატივიანი მეომარი.

ომმა ცხადყო, მთელი უნიადაგობა მტრის იმ იმედებისა, თითქოს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო შინაგანად სუსტი იქნებოდა. თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილი საკავშირო სახელმწიფო შემოწმებულია უსასტიკესი ომით და მსოფლიოში უმტკიცესი სახელმწიფოა აღმოჩნდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მოპოვებული და სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილი თანასწორუფლებიანობა სსრ კავშირის მოქალაქეებისა, მათი ეროვნებისა და რასის მიუხედავად, უცილობელ კანონს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანი სტალინური მეგობრობა საალ კლდესავით მტკიცეა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს ყველა საბჭოთა მოქალაქის შეგნებაში. მასში ჩაწერილია საბჭოთა რევოლუციის ყველა მონაპოვარი, რომლებმაც მშრომელები გახადეს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონებად, თავისუფალ და ამაყ ადამიანებად, შემოქმედებითი შრომით რომ ჰქმნიან თავისი სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებას. სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოშობა მგზნებარე და თავდადებული საბჭოთა პატრიოტიზმს. საბჭოთა პატრიოტისათვის ძვირფასია მისი უფლებები, რომლებიც აღიბეჭდილია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონით,—„შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის, დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვის უფლებები, ეროვნისა და რასების თანასწორუფლებიანობა, საქალაქო თავისუფლებანი“.

საბჭოთა პატრიოტისათვის წმიდაა არა მარტო მისი უფლებანი, არამედ მისი მოვალეობანიც,—მათგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, რომელზეც მეტყველებს კონსტიტუციის 133-ე მუხლი: „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა“. საბჭოთა მოქალაქენი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები პირნათლად ასრულებენ ფრონტზე და ზურგში ამ დიად მოხლს!

ყველა მუხლი ერთად და თვითეული ცალკე წარმოადგენს საბჭოთა იდეოლოგიის, საბჭოთა დემოკრატიის, მსოფლიოში ყველაზე თანმიმდევრული დემოკრატიის გამოხატულებას. „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მზეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე“ (ი. სტალინი).

კეთილშობილური, ჰუმანური საბჭოთა იდეოლოგიით აღფრთოვანებულმა წითელმა არმიამ დამპყრობთაგან გაათავისუფლა სამშობლო ქვეყანა. ახლა წითელი არმია, ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად, სხვა ქვეყნებს, სხვა ხალხებს ათავისუფლებს გერმანელ დამპყრობთაგან. წითელი არმია დამოუკიდებლობას უბრუნებს ამ ქვეყნებსა და ხალხებს.

საბჭოთა ხალხის გაბარჯვებანი ნიადაგს უქმნიან ხალხთა თანხმობაზე, მათს მეგობრობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პოლიტიკას. ეს ზეიმია დემოკრატიის ყველა საწყისისა, რომლებიც გამოხატულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. მთელი მსოფლიოს მშრომელნი საბჭოთა ხალხში ხედავენ დემოკრატიული წყობილების საიმედო დასაყრდენს მათს საკუთარ ქვეყნებში.

„ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე“. (ი. სტალინი).

თავის კონსტიტუციას საბჭოთა ხალხი სიყვარულით უწოდებს სტალინურ კონსტიტუციას. დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა ააგო სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში. ამხანაგმა სტალინმა დასწერა მისი მუხლები. როგორც უდიდესმა კანონმდებელმა, ამხანაგმა სტალინმა მძლავრ სახელმწიფოში გააერთიანა საბჭოთა ხალხი. როგორც უდიდესმა სტრატეგმა, ამხანაგმა სტალინმა უზრუნველჰყო საბჭოთა სახელმწიფოს გაბარჯვება.

რვა წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა წინასწარმეტყველური სიტყვები თქვა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე:

„ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა იფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალდებო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ“.

ამიტომაც სსრ კავშირის კონსტიტუცია, როგორც საბრალდებო აქტი ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ, განმტკიცებულია წითელი არმიის გმირობებით. ფაშიზმისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოტანილია ყველა გაერთიანებული ერის მიერ. თავისი ისტორიული როლის შეგნებით საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო. სტალინური კონსტიტუციის დროშით წითელი არმია, სსრ კავშირის ყველა ხალხთა დახმარებით, ბრძოლაში მიდის, რათა სავსებით და საბოლოოდ გაანადგუროს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში, გამარჯვების დროშას ავაფრიალებთ ბერლინში!

„პრავდის“ 4 დეკემბრის მოწინავე

საუზმე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინთან გენერალ დე გოლისა და ბ-ნ ჟ. ბიდოს პატივსაცემად

3 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა საუზმე გამართა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურ დე გოლისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ჟ. ბიდოს პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ გენერალი დე გოლი, ბ-ნი ჟ. ბიდო, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირის მთავრობასთან ბ-ნი რ. გარო, საფრანგეთის რესპუბლიკის ნაციონალური თავდაცვის შტაბის უფროსი გენერალი ჟიუენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი მ. დეჟანი, მეთაური საფრანგეთის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში ბრიგადის გენერალი პეტი, საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობის თანამშრომლები და გენერალ დე გოლისა და ბ-ნ ჟ. ბიდოს თანმხლები პირნი. საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

გ. ი. რუდი დაინიშნა მოლდავეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად

კიშინიოვი, 3 დეკემბერი. (საკდესი). მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გ. ი. რუდი დანიშნულია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

უკანასკნელი ცნობები

ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის მძლავრი დემონსტრაცია ბუქარესტში

ბუქარესტი, 29 ნოემბერი. (საკდესი). (მიღება დაგვიანებულია). გუშინ პროფკავშირებმა მოაწყეს საზეიმო დასაფლავება ორი მუშისა, რომლებიც ლეგიონერმა ოფიცრებმა მოჰკლეს ა. წ. 25 ნოემბერს. დასაფლავება ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

ვიქტორიას მოედანზე შეიკრიბა სულ მცირე 150 ათასი კაცი, რომლებიც ორგანიზებულ კოლონებად მოვიდნენ საწარმოებიდან. ყოველი კოლონის თავში დემონსტრანტებს მოჰქონდათ გაერთიანებულ ერთა დროშები. ჭრავალრიცხოვან ლოზუნგთა შორის გამოირჩევოდნენ შემდეგნი: „მოვითხოვთ მკვლელ პენესკუს დასჯას“, „გვინდა ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის მთავრობა“, „გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო თანამშრომლობას“, „გარეკეთ ფაშისტები არმიიდან“, „გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რუმინეთს“ და სხვები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური კონსტიტუცია ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების დროშაა

> სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობა.
>
> სსრ კავშირის კონსტიტუციის 133-ე მუხლი.

ვლადიმერ ოდიშარია

ქუდი მოიხადე, მეგობარო, ამ სახელის ხსენებაზე, შაშხანა მოიმარჯვე, მეომარო, შურის საძიებლად, ლექსი გამოუთქვი, მგოსანო, სამშობლოსათვის თავდადებულს!...

საბჭოთა ხალხის ხსოვნაში წარუშლელია ის მწარე დღეები.

აყვავებულ უკრაინას შავი კალია მოსდებოდა. ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ გერმანელი ფაშისტები მშვიდობიან მცხოვრებლებს.

გმინავდა უკრაინა, გმინავდა დ. ბობოჭრობდა.

ყოველდღე იზრდებოდა სახალხო შურისმგებელთა რიტხვი. რისხვად გადაიქცნენ ისინი დამპყრობლებისათვის. მათ რიცხვში იყო ვლადიმერ ოდიშარიაც, ბოჩია ოდიშარია, როგორც მას სახლში ეძახდნენ.

ვინ იტყოდა მასზე ხუთიოდე წლის წინათ, რომ იგი გმირი გახდებოდა? ჩვეულებრივი ნოსირელი ჭაბუკი, რომელიც სწავლობდა ცხაკაიაში და შემდეგ რამის ქარხანაში მოანგარიშედ მუშაობდა. ეს იყო და ეს.

წითელ არმიაში ოდიშარია კავალერისტი გახდა. ბრძოლის ცეცხლით აღზნებული შეიჭრებოდა მტრის რიგებში და ხმალის მძლავრი მოქნევით ხის ტოტებივით ჰკაფავდა ფაშისტ ავაზაკებს.

ბედმა უმტყუნა ოდიშარიას. ცხენი მოუკლეს ბრძოლაში, თვითონაც დაჭრილი დარჩა ბრძოლის ველზე.

კიროვოგრადის ოლქის დოლინსკის რაიონის შევჩენკოს სასოფლო საბჭოში არის კარლ მარქსის სახელობის მეკარხლეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ ცხოვრობდა მოხუცი სავიჩ მიჩიოვი. მან გადაარჩინა სიკვდილს ოდიშარია. მან შეიფარა დაჭრილი მებრძოლი და ჭრილობებიც მოურჩინა.

გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩენილი საბჭოთა მებრძოლის გზა მხოლოდ ერთი იყო—პარტიზანებთან წასვლა.

აქაც იგივე ფრონტი იყო, საშიში, რთული და პასუხსაგები. აქაც გულადობასთან ერთად საჭირო იყო სიმარჯვე, მოსაზრებულობა, ყოველ წამში სიფრთხილე და სიფხიზლე.

მას აძლევდნენ. იგი შიდაიდან გერმანელებით სავსე სოფელში და მათ ცხვირწინ ასრულებდა დავალებას. დიდხანს უთვალთვალებდნენ მას გერმანელები, უნდოდათ მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო.

ეს მოხდა სწორედ ერთი წლის წინათ.

ზამთრის პირის სუსხიანი დილა იყო. ცას რუხი ღრუბლები გადაკრეოდა. სამარისებური სიჩუმე სუფევდა ოდესღაც სიცოცხლით სავსე სოფელში. ყველანი, ვინც კი გერმანელთა ძალადობას გადარჩენოდა, თავიანთ ქოხებში ისხდნენ სულგანაბულნი, რომ თვალში არ მოხვედროდნენ მხეცებს.

უცბად სროლის ხმა გაისმა. სროლა უჩვეულო ამბავი აღარ იყო შევჩენკოველებისათვის. შინ დარჩენილმა მოხუცებმა და ბავშვებმა მხოლოდ უფრო მაგრად ჩაიკეტეს კარი აკანკალებული ხელით.

გარეთ კი საშინელი ამბავი დატრიალდა.

ჩასაფრებულმა გერმანელებმა თვალი მოჰკრეს მომავალ პარტიზან ოდიშარიას. სამი ახმახი ჯარისკაცი თავს დაესხა სახალხო შურისმგებელს, უნდოდათ ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში. ოდიშარია არ დაიბნა. მან იძრო დანა და დაერია ჰიტლერელებს. ორი მოჰკლა, მესამე დასჭრა და იარაღი აჰყარა. აქეთ-იქიდან უკვე მორბოდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული ფაშისტები ოდიშარიას შესაპყრობად. იგი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა მათ და სროლით გარბოდა ტყისაკენ. რამდენიმე ფაშისტი კიდევ დაეცა მისი ტყვიით განგმირული. ფაშისტები არ სცხრებოდნენ, ერთს, თითქმის უიარაღო კაცს, აყრიდნენ ავტომატების, ტყვიამფრქვევების ჯერებს.

18 ტყვიით განგმირული დაეცა ოდიშარია. ჯალათები მისცვივდნენ მას. და კვლავ ესროდნენ, დანებით სჩხვლეტდნენ, ფეხით სთელავდნენ. შემდეგ იგი ხიდიდან ღელეში გადაისროლეს.

სამ დღეს ეგდო იქ ბოჩია ოდიშარია, ნოსირელი ჭაბუკი, სამეგრელოს მთების ლაღი ჰაერით გაზრდილი ვაჟკაცი. სამ დღეს ეგდო ნახევრად წყალში, ტალახით და სისხლით მოსვრილი. მტარვალები დარაჯად ედგნენ, რომ ახლო არავინ მიჰკარებოდა.

და როდესაც პირსისხლიანებს მოსწყინდათ მისი დარაჯობა, უკრაინელმა ქალებმა მალულად გაიტაცეს ქართველი ჭაბუკის გვამი, სისხლი მობანეს, ქოჩორი გადაუვარცხნეს, მდუღარე ცრემლიც დააყარეს სახალხო შურისმგებელს, სამშობლოს ღირსებისათვის მებრძოლ გმირ ოდიშარიას, და მშობლიური უკრაინის მიწას მიაბარეს.

პარტიზანებმა და მებრძოლებმა შავი დღე დაიყენეს ჯალათებს, ერთიანად აზღვევინეს უმანკო სისხლისათვის.

როდესაც მტარვალთა ფეხის ხმა მისწყდა იქ არემარეში, როდესაც წითელმა არმიამ კვლავ თავისუფლება მოუტანა შევჩენკოველებს. მათ უღრანი ადგილიდან გადმოიტანეს ოდიშარიას ნეშტი და თავიანთ ბაღში დაასაფლავეს სურნელოვანი ცაცხვებისა და აკაციების ქვეშ.

ნინო მუშველიძე

დიმიტრი გორგილაძე

კაპიტანი დიმიტრი მაქსიმეს-ძე გორგილაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ექადიის მკვიდრი, ჩვენს ქვეყანაყოფაში მოსვლის პირველი დღიდან ნამდვილი მამა გახდა მებრძოლებისათვის. საბრძოლო უნართან და მამაცობასთან ერთად იგი მებრძოლებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს.

ერთხელ დასახლებული პუნქტის ქუჩაზე მიეგდიოდათ. საშინელი ყინვიანი დღე იყო. გვეყინებოდა ყურები, ხელ-ფეხი. ამ დროს შეგვხვდა მებრძოლთა ჯგუფი, რომლებიც თავდაცვითს ხაზს აგებდნენ. ყველა მებრძოლს ხელთათმანი ეცვა, მხოლოდ ერთს, სულ ახალგაზრდა მებრძოლს არ ჰქონდა. კაპიტანმა შეამჩნია ეს და დაუძახა:

— რა გვარი ხარ?—ჰკითხა.

— სერგეი მიხალჩუკი.

— რატომ ხელთათმანი არა გაქვს?

— დღეს მოვედი პირველად ნაწილში და ვერ მოვასწარი მიღება.

კაპიტანმა გორგილაძემ გაიძრო თავისი თბილი ხელთათმანი, რომელიც წინადღეს თა-

ვის ქალიშვილისაგან მიიღო საქართველოდან და გაუწოდა მებრძოლს. მან ჯერ უარი სთქვა, მაგრამ როდესაც კაპიტანმა უბრძანა, სიხარულით გაიკეთა ხელზე.

ერთ ღამეს დაჭრილი სერჟანტი, რომლის წაყვანა ვერ მოესწროთ ჰოსპიტალში, ძალიან ცუდად გახდა, გონი დაკარგა და სიცხისაგან ბოდავდა. მის სასთუმალს მოუჯდა კაპიტანი გორგილაძე და მთელი ღამის განმავლობაში უვლიდა მორიგე ექიმის მოსვლამდე.

კაპიტანი გორგილაძე მამაცი და შეუპოვარია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყირიმში, კავკასიის მისადგომებზე, ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბელორუსია, იყო პოლონეთში, ათავისუფლებდა ლტვის საბჭოთა რესპუბლიკას და ახლა ურტყამს დაჭრილ ფაშისტ მხეცს მისსავე ბუნაგში—აღმოსავლეთ პრუსიაში.

კაპიტანი გორგილაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

გვარდიის კაპიტანი ჯაბაშვილ ამბროსი
აღმოსავლეთი პრუსია

სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

წლიური გეგმა შეასრულეს

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილია და შრომის უკეთესი ორგანიზაციის შედეგად, დედაქალაქის მთელმა რიგმა საწარმოებმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის—5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები და მზად არიან წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში სამშობლოსა და ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცენ ასეულათასობით მანეთის პროდუქცია.

26 კომისრის სახელობის ქარხანამ (დირექტორი მელაძე, პარტიიუროს მდივანი დარსაველიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზიანი) წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ქარხნის მუშაკთა კოლექტივი სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ახალი სიჩუქრებით შეხვდა სამშობლოს.

ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ (დირექტორი პარტოსიანი, პარტბიუროს მდივანი ჯაშიაშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე მეძმარიაშვილი) წლიური გეგმა 1 დეკემბრამდე 104,8 პროცენტით გაანაღდა.

კიროვის სახელობის ჩარხ-დაზგათმშენებელმა ქარხანამ 1 დეკემბრისთვის დიდი გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა. 1944 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 1,644.000 მანეთის გადამეტებით, სასაქონლო პროდუქციისა—421.000 მანეთის გადამეტებით.

მთელი სამეურნეო წლის მანძილზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ № 12 საამქროს (უფროსი ინჟინერი დავითაშვილი) და საინსტრუმენტო საამქროს (უფროსი ინჟინერი კულეკეკი).

სპინის ქარხანამ (დირექტორი სტეფანოვი, პარტბიუროს მდივანი აკოფოვი) წლიური გეგმა 15 ნოემბრისათვის შეასრულა 103,4 პროცენტით.

მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ვაშაძე, პარტბიუროს მდივანი პირუმოვა) მუშაკთა კოლექტივმა 10 ოქტომბრისათვის 103,3 პროცენტით შეასრულა წლიური დავალება. სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით ასეული კომპლექტი ჩაცმულობა დაუმზადა მშრომელებს.

* * *

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები მალალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს. სახელმწიფოსათვის სოიის ჩაბარების 1944 წლის გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით, მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ნატურანაზღაურებისათვის სოიის და სიმინდის ჩაბარების ვალდებულება—100 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი საყვარელიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბერაძე

* * *

ქობულეთის რაიონის ალამბრის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა მანდარინის კრეფისა და დამზადების წლიური გეგმა—ჩაბარებულია 1.800.000 ცალი მანდარინი.

ალამბრის საბჭოთა მეურნეობის
დირექტორი მშავანაძე

* * *

ქედა („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). მეთამბაქოე კოლმეურნეებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება სტალინური კონსტიტუციის დღისათვის გეგმის გადამეტებით ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის თამბაქო. ეს პირობა მათ გაანაღდეს. ჩაბარეს 34,8 ტონა თამბაქო. თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 114,7 პროცენტით.

ჯ. სახელჩიძე

აყვავებული ცხოვრება

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო განამტკიცა საკოლმეურნეო წყობილება სოფლად. საკოლმეურნეო წყობილებამ განაახლა, ააყვავა, გააძლიერა ჩვენი სოფელი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქობულეთის რაიონის სოფელი ხუცუბანი, რომელიც წინათ ღარიბი და ჩამორჩენილი იყო.

საკოლმეურნეო შრომამ ხუცუბანი კულტურულ, მძლავრ და მდიდარ სოფლად გადააქცია. სოფელში 402 კომლი ცხოვრობს. არის ათამი მძლავრი კოლმეურნეობა: ლენინის, სტალინის და მიხაილოვის სახელობისა. 225,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 333 ჰექტარი ციტრუსები, 88,8 ჰექტარი ტუნგო, 17 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 45.370 ძირი ეკალიპტი, 11,6 ჰექტარი ბამბუკი, 216 ჰექტარი სიმინდი—ეს ამ სოფლის კეთილდღეობისა და სიმდიდრის ძირითადი წყაროები.

— ერთი საშუალო სკოლა, 2 არასრული საშუალო სკოლა, დაწყებითი სასწავლებელი—ეს, კულტურის კერა, სადაც იზრდება 500-ზე მეტი საბჭოთა პატრიოტი. მათი აღზრდა 34 მასწავლებელს ანარია, რომელთა შორის 11 უმაღლესი ცოდნითაა.

— ორი საექიმო პუნქტი: ერთი ექიმი, 2 ექიმის თანაშემწითა და კბილის ერთი ექიმით—ეს, ჯანმრთელობის კერა სოფელში.

—ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების შემფუთავი პავილიონი, ფოსტა, კლუბი, სამკერვალო არტელი, კოოპერატივები, სამკითხველო და სხვა—ესაა სოფლის სიმძლავრისა და კულტურულობის მაჩვენებელი.

ხუცუბანი ომის დღეებში შრომის ორგანიზებულად მოწყობის მაგალითი გახდა, როდესაც ეკრავა მტერი—პირსისხლიანი ფაშისტები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, ხუცუბნელი ვაჟკაცები ერთსულოვნად წავიდნენ სამშობლოს დასაცავად. მათ ნათლად ჰქონდათ შეგნებული, რომ სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ამ სოფლიდან ასზე მეტი ვაჟკაცი იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე.

ხუცუბნელები სამართლიანად ამაყობენ ოლიანთ ნამაგარით, ამაყობენ ფრონტზე წარგზავნილებით. ა. ბაჯელაძე ჯერ კიდევ ხალხინგოლიან იაპონელი სამურაიების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. მაშინ იგი კაპიტანი იყო. ახლა პოდპოლკოვნიკია, დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და შედლებით. ჰ. გოგიჩაძე, ს. გოლიაძე, ბ. კუპრავაძე, ა. მეკავანაძე დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. ისინი ხუცუბნის ღირსეული შვილები არიან.

თუმცა საგრძნობი მუშახელი გამოაკლდა სოფელს, მაგრამ როგორ შეიძლებოდა კოლმეურნეობებს ჩამორჩენა ჰქონოდათ. ფრონტი და ქვეყანა მოითხოვდა და მოითხოვს მეტ ნედლეულს, პროდუქტებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სათესი ფართობი 100 ჰექტარით გაიდიდა. საგრძნობლად იმატა ციტრუსების შემოსავლიანობამ, 1942 წელს სოფელმა სახელმწიფოს ჩააბარა 15 მილიონ ცალი ციტრუსის ნაყიფი, 1943 წელს—21 მილიონი, ხოლო 1944 წელს—22 მილიონზე მეტი. ხუცუბნელები გეგმის გადაჭარბებით 2 მილიონამდე ცალ მანდარინს აბარებენ სახელმწიფოს.

ჩაის კულტურის დარგშიც საგრძნობი წარმატებაა მიღწეული. გეგმით გათვალისწინებული 511 ტონის ნაცვლად ხუცუბნელებმა მოკრიფეს და ვადამდე ერთი თვით ადრე სახელმწიფოს ჩააბარეს 518 ტონა ჩაის ფოთოლი.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ამ სოფლის სიამაყეა. დიდი და მძლავრი კოლმეურნეობაა იგი. მას უნარიანად ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი, მედლით „კაზაკის დაცვისათვის“ დაჯილდოებული ჰ. ჯაჯავაძე. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობის დოვლათი. 1943 წელს შრომადღეზე განაწილდა სიმინდი 2,5 კილოგრამი, ფულად—8 მანეთი. 1944 წელს მარტო ფულად შრომადღეზე სულ მცირე 20 მანეთს განაწილებენ, თუ შარშან შემოსავალი ერთ მილიონ 100 ათას მანეთს შეადგენდა, წელს მიიღებენ 2,5 მილიონ მანეთზე მეტს. ამ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა ნახევარ მილიონზე მეტი მანდარინი, 60 ათას ცალზე მეტი ლიმონი. კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერად შეიდგენენ. მათ დიაკვანეს ქმრების და ძმების ადგილი საკოლმეურნეო მინდვრებზე. მერეი ემირიძე, ილია მეკავანაძე, ნახაციკაძე, ბ. ხაბაზი და მრავალი სხვა საკოლმეურნეო შრომის ნამდვილი ოსტატები არიან. აქ დაუღალავად მუშაობენ ჭაღარა კოლმეურნეებიც. მოხუცებს ნახავთ ყანებში, ციტრუსებში, ჩაის პლანტაციებში.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი გაანაღდა, ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის, მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმები.

ხუცუბნელ კოლმეურნეებს ღრმად ჩასწვდომიათ, რომ ფაშისტ ავაზაკებმა ბოლოს ვერ ვერ ვერ ნიბისა და ბრძანების ბრძოლა - სიტყვებ კოლმეურნეებმა კიდევ უფრო გაძლიერეს შეობა. შედეგიც შესანიშნავია. სოფელ პირველობა მოიპოვა გეგმების შესრულებაში და ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში.

ნ. ჯანჯღავა

სოხუმის საწარმოებში

სოხუმი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). სოხუმის საწარმოები სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრის აღსანიშნავად ახალ-ახალ საწარმოო წარმატებას აღწევენ.

სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა ნოემბრის ორ დეკადაში შეასრულა მთელი თვის დავალება. ამ ფაბრიკის მუშა ამბ. კ. ხოდუსოვი ნოემბერში დღიურ ნორმას 500 პროცენტით ანაღდებდა. სტახანოველმა მუშა ქალებმა კორობკინამ, ბერეზუცკაიმ, რომანოვამ, მარტინენკომ და სხვ. ნოემბრის საწარმოო გეგმები 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს.

ნოემბერში დაწინაურდა ფეხსაცმლის საწარმო (გამგე კოსტანიანი), რომელმაც წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულა და სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრის აღსანიშნავად ახალი ვალდებულებანი იკისრა.

წარმატებით მუშაობენ სოხუმელი მეკონსერვეები. სტახანოველები ა. ავაზანიანი, თ. სეხაძე, მხარშავი ა. ტკაჩენკო, ზეინკალი ნ. გრიბოვსკი და სხვ. ყოველდღიურად ორ-სამ დეტ ნორმას ასრულებენ.

ს. ზონია

500.000 ქილა კონსერვი გეგმის გადამეჭვებით

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად სამტრედიის საკონსერვო ქარხანამ 1944 წლის საწარმოო გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის 102 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 2.110.000 ქილა კონსერვისა, 11 თვეში გამოშვებულია 2.155.000 ქილა კონსერვი, მათ შორის უმაღლესი ხარისხის 1.415.000 ქილა. კომბინატმა ხილბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

სამტრედიელმა მეკონსერვეებმა მამაცი წელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა პასუხად იკისრეს წლის ბოლომდე ფრონტს და ქვეყანას მისცენ 500.000 ქილა მაღალი ხარისხოვანი კონსერვი.

ვ. რუსია

ა. გოლუბინი

სტალინური კონსტიტუცია ჩვენი გამარჯვების დროშაა

ჩვენი ქვეყანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის პირობებში მეოთხედ აღნიშნავს დიად ისტორიულ თარიღს — სტალინური კონსტიტუციის დღეს.

ომის მეოთხე წელი წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა წელია. დამპყრობთაგან განთავისუფლებულია მთელი საბჭოთა მიწა-წყალი. გერმანელები განდევნილნი არიან საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ და საომარი მოქმედება ახლა გადატანილია ჰიტლერულ გერმანიის ტერიტორიაზე. წითელმა არმიამ დაამარცხა ჰიტლერული ბლოკი და ეხმარება პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ხალხებს ფაშისტური ულოლა მოშორებაში. ჩვენი მოკავშირეებიც კვლავ მძიმე დარტყმებს აყენებენ მოწინააღმდეგეს დასავლეთიდან. გერმანია საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების ორი ფრონტის მარწუხში მომწყვდეული აღმოჩნდა.

ისეთი ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ გაფფრებულ ბრძოლაში, როგორიც არის ჰიტლერული გერმანია, მთელი მსოფლიოს წინაშე დადასტურდა საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი ძლიერება, საბჭოთა წყობილების სიმტკიცე. საბჭოთა ხალხი აღსავსეა ენერგიით და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მტერზე სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს ბრძოლა სამშობლოს სასახელოდ. „ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—დიდი და უძლეველი ძალა მისცა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას“.

სამამულო ომმა კიდევ უფრო მახლობელი გახადა ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიკური პარტია, კიდევ უფრო განამტკიცა ერთა თანამეგობრობა. საბჭოთა ადამიანები ამ ომში იცავენ დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ მონაპოვართ, იცავენ კონსტიტუციით განმტკიცებულ სოციალისტურ წყობილებას.

სტალინური კონსტიტუცია მოწმობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებს, ჩვენს ქვეყანაში ფართო, ბოლომდე თანმიმდევრული დემოკრატიის ფაქტებს. იგი საბჭოთა ხალხის საკანონმდებლო კრებულია. სტალინური კონსტიტუცია სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და საბჭოთა ინტელიგენციას, აღფრთოვანებს მათ დიადი პატრიოტული გმირობისათვის.

ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი—მშრომელთა დეპუტატების საბჭოები—ურყევი აღმოჩნდა. ხელისუფლების უფრო ხალხური და დემოკრატიული ფორმა, ვიდრე საბჭოები, ჯერ არ ახსოვს ადამიანთა საზოგადოების ისტორიას. საბჭოები წარმოადგენენ მუშათა და გლეხთა დემოკრატიის ცოცხალ განსახიერებას, ხალხის ბატონობის ნამდვილ ორგანოებს. სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით. საბჭოები მშრომელთა ყველაზე უფრო მასობრივი და დემოკრატიული ორგანიზაციაა. საბჭოების შემადგენლობა, დაწყებული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთი, როგორიც არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, და დამთავრებული სასოფლო საბჭოებით, გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს მართვაში ჩაბმული არიან მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით ხალხის მასების ნდობა დაიმსახურეს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, არიგებენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მოსახლეობის ფართო ფენებს ემყარებიან, მუშაობენ ხალხის სასარგებლოდ და მისი კონტროლით. საბჭოთა ხელისუფლება მახლობელი, გასაგები და მშობლიურია მოსახლეობის ფართო მასებისათვის, ხოლო ყველა მისი გადაწყვეტილებანი და ღონისძიებანი ჩვენი ხალხის მუდმივი მხარდაჭერით სარგებლობენ.

ხალხთან საბჭოთა ხელისუფლების ამ უახლოესმა კავშირმა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამულო ომის დღეებში. მხოლოდ ხალხის ყოველმხრივ მხარდაჭერაზე დაყრდნობით შეესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე ვადაში ასე წარმატებით განეხორციელებინა ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების გარდაქმნა საომარ ყაიდაზე, მთელი ჩვენი ქვეყნის ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცევა.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ორგანიზაციისა, არამედ ომიანობის დროს მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების დარაზმვის საუკეთესო ფორმაც. და მართლაც, საბჭოთა სახელმწიფო აპარატი აღმოჩნდა მტრის გასანადგურებლად ხალხის მთელი ძალების დარაზმვის ძლავრი იარაღი. ეს განსაკუთრებით ჩანს ადგილობრივი საბჭოების მოქმედების მაგალითით. საბჭოებისა, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მოსახლეობის ფართო მასიბთან. საბჭოები ომიანობის პერიოდში ვასუბატის მხრივ გიგანტურ და შინაარსის მხრივ მრავალფეროვან როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან.

ფრონტისადმი დასახმარებლად საბჭოების მუშაობა ესოდენ წარმატებით ვერ განხორციელდებოდა, საბჭოები რომ არ ჰფლობდნენ სახელმწიფოს მართვაში მასების ჩაბმის ნაცად ლენინურ-სტალინურ საშუალებას. ომის დროს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფო აპარატის ძალთა გაერთიანება. ამან გაამრავლა საბჭოების ძალები, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

ასეთივე ურყევი და მტკიცე აღმოჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი. სტალინური კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი სოციალისტური წყობილების გამარჯვებას, იმავე დროს კანონმდებლობით აფუძნებს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს. მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვებამ წარმოშვა ახალი დაუშრეტელ ძალები, რომლებიც მოიპოვება საბჭოთა ხალხში, კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო პოზიციები.

ომიანობის პირობებში, როცა მთელი რიგი სიძნელეები სერიოზულად ართულებდნენ საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობას, სოციალიზმის ეკონომიურმა სისტემამ ორგანიზებულობისა და მანევრულობის სასწაულები გვიჩვენა და წარმატებით გაუძლო ყველა განსაცდელს. უფრესად მოკლე ვადებში აღდგენილ იქნა აღმოსავლეთის ზურგის რაიონებში ევაკუირებული მრეწველობა. ფაბრიკა-ქარხნებმა შესძლეს სამხედრო პროდუქციის მასობრივი გამოშვების მოგვარება. უფრო მეტიც, ომის წლებში აგებულ იქნა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები და სხვა საწარმოები.

ახლა, ომის მეოთხე წელს ჩვენი საწარმოები რამდენჯერმე უფრო მეტ ტანკს, ქვემეხს, თვითმფრინავს, ნაღმსატყორცნს, სამარა მასალას და სხვა სახის საჭურველს ამზადებენ, ვიდრე ომამდე.

ომის დროის ამოცანებს წარმატებით სძლევს საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტიც, რომელმაც გაუძლო ისეთ დატვირთვას, რასაც, ამხანაგ სტალინის სიტყვით, სიეშვა. რომ, თავს გაართმევდა სხვა ქვეყნის ტრანსპორტი.

ჯერ არასოდის ისე სრულად, როგორც სამამულო ომის დროებში, არ გამომჟღავნებია საკოლმეურნეო წყობილების სოციალისტურობა. ომიანობა და ძალა საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაცემა და რღვევა სოფლის მეურნეობაში მუდამ თან ახლდა ომს. მაგრამ ჩვენი კოლმეურნეობები, რომლებიც სძლევენ ომიანობის სიძნელეებს, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. მაგალითად, საკმარისია აღინიშნოს მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. სამამულო ომის სამი წლის განმავლობაში კარტოფილის სათესი ფართობი აქ 10 ჰა-ით უფრო მეტი პროცენტით გადიდდა, ბოსტნეულის სათესი ფართობი—23,5 პროცენტით. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ 1943 წელს 43 პროცენტით გადააჭარბა 1916 წლის მოსავლიანობას, ხოლო მარცვლეულის საერთო მოსავალმა—65 პროცენტით. მაგრამ მოსკოვის ოლქი მხოლოდ ერთ-ერთი მრავალთაგანია. ჩვენი ქვეყნის მთელი კოლმეურნე გლეხობა წარმატებით სძლევს თავის პრობლემებს, ეზრუნველყოფს წითელ არმიას და ჩვენს ქვეყანას სურსათით, ხოლო მრეწველობას—ნედლეულით. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა თავიანთი თავდადებული შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მტერზე ჩვენი გამარჯვების საქმეში.

ჩვენი ადამიანების მეცადინეობით, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით კვლავ იწყებენ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას ის რაიონები, რომლებიც გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს. მაგალითად, უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში ამა წლის 1 ოქტომბრისათვის ოცევე აღდგენილია 8 ბრძმედი და 37 მარტენის ღუმელი, 23 საგლინავი დაზგა და 55 საკოქსე ბატარეა, აღდგენილია და მუშაობს 84 დიდი და 470 მცირე შახტი. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო ავრეთვე მუშაობამ ქალაქებისა და სოფლების ოსოადგენად და გასაშენებლად. მარტო უკრაინაში აღდგენილი და აგებულია 2.800 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ქალაქად და 115 ათასი სახლი სოფლად კოლმეურნეთათვის.

საბჭოთა სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თავდადებულ შრომას თავისი ინტელიგენციისას, რომელსაც წარმატებით მიჰყავს წინ თანამედროვე მეცნიერება და იყენებს მის ძალღონეებს წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების გასაადვილებლად. საბჭოთა სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ქალებისა და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის უმგალითო შრომის გმირობას. მათ, როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ძირითადი ტვირთი.

„ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების დახმარებით, 2 დეკემბერს იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი — უნგრეთის საოლქო ცენტრი ქალაქი შატორალია-უიხელი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ჩელეკეთე, სტანჩა, ბიხალიანი, ველიკაია და მალაია ტორარონია და რკინიგზის სადგური მიხალიანი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდი კვანძი და თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ქალაქი მიშკოლცი — უნგრეთის სამხედრო წარმოების უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელიც ამარაგებს გერმანელებისა და უნგრელების არმიებს, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ალშო-ვადასი, ხოგროგდი, იანჩო, ნიოგმარი, ფელშე-შაშკაში, შაიო-კალშალა, ბიუკჟერცი.

28 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 7.875 გერმანელი და უნგრელი კაცი და ოფიცერი. ამრიგად, 8 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე უნგრეთის ტერიტორიაზე უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 21.745 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ კაპოშვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური დუნაფელდვარი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტამაში, ქალაქი და რკინიგზის კვანძი სენტ-ლორინცი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბიკაჩი, პალშა, მიხლა, რეგელი, კარი, ერტენი, კოჩოლა, ატალა, იუტა, კაპოშმარე, ველენი, ოზდფალუ, რადფალვა, კემეში და რკინიგზის სადგურები დალმანო, ატალა, კემეში.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

4 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

უნგრეთში, ქალაქ კაპოშვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ელესალაში, ალშოსენტივანი, ვაიტა, ტოლნანემედი, პინცეხელი, ოზორა, ნად სოკოლი, ფელშე-ნიეკი, საბადხიდვეგი, შაგვარი, გალვანიოში, ტენგედი, მადიარკერი, მერნიე, შოგოდფაისი, ხეტეში, მეზეჩოკოლნა, ნადგაიოგი, ბეცეფა, როშა-ყა, ბანფა, შუგონი, ბილვანფა და რკინიგზის სადგურები ვაიტა, პინცეხელი, ფელშე-ნიეკი, მერნი, შოგოდიად, ოსტოკაანი, შუგონი.

1-დან 4 დეკემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე ტყვედ წამოიყვანეს 3.000 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე მდინარეებს დუნაისა და საკვა შუა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა, რომლებიც ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური მიტროვიცა, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნეშტინი, ვიზიჩი, ლეჟიმირი, დიეოში, მონდელოსი, ჩალმა, ლაჩარაკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

* * *

უნგრეთში, ქალაქ კაპოშვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით, ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე დუნაის დასავლეთი ნაპირის გასწვრივ უტევენ, გაანადგურეს მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, რომელიც ცდილობდა კონტრიერიშზე გადმოსულიყო. ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტ ელესალამდე. ბრძოლები სწარმოებს 60 კილომეტრზე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის სამხრეთით. ქალაქ დომბოვარის ჩრდილოეთით ნაშარეთის მებრძოლებმა გასტეხეს ჰიტლერელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, 20 კილომეტრით წაიწიეს წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ქალაქ პეჩის დასავლეთით მოწინააღმდეგე ცდილობდა შეჩერებულიყო მრავალრიცხოვანი ბატარეა მდინარეებს ზოდეებზე. ჩვენმა ნაწილებმა ზედიზედ დაარტყეს გერმანელებს, შუალედი თავდაცვიდან ზღუდეებიდან განდევნეს ისინი და ბრძოლები გაიჩაღეს ქალაქ სიგეტვარის მისადგომებზე. არასრული ცნობებით, ერთი დღის ბრძოლებში გაყლეტილია 2.000 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი ჯარების დარტყმებით უკანდახევისას გერმანელები სტოვებენ სამხედრო ტექნიკას, საჭურველსა და სამხედრო ქონებას. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ბევრი ორთქლმავალი და კეთილი სხვადასხვა ტვირთიანად.

საბჭოთა მეომრები მტერთან ბრძოლებში გვრჩენენენ უსაზღვრო მამაცობას და სამხედრო ოსტატობის მაღალ ნიმუშებს. უმცროსი ლეიტენანტ ბრონნესლაფსკის ტანკის ეკიპაჟმა ჯანასსენელ ბრძოლებში მოსპო გერმანელთა 3 ტანკი, 2 ჯავშანტრანსპორტიორი, 2 ქვემეხი და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაყლეტა. ერთ უბანზე მტრის ტყვიამფრქვევის ცეცხლი ხელს უშლიდა ჩვენს ქვეითს ჯარს არხი გადასვლაში. რიგითმა პერეკერზევმა არხი გასცურა, გერმანელ მეტყვიამფრქვევეს მიეპარა და მოჰკლა. მანამდე, სანამ ჩვენი მებრძოლები არხს გავიდოდნენ, ამხ. პერეკერზევმა ხუთი გერმანელი მოჰკლა. რიგითი მეკავშირე ბატანიუკი, რომელიც დავალებას ასრულებდა, 8 გერმანელ მზვერავს წაწყდა. გაფორებულ შეტაკებაში საბჭოთა მეკავშირემ 7 ჰიტლერელი მოჰკლა, ერთი კი ტყვედ წამოიყვანა. გვარდიის რიგითმა გუტარევმა სამი დღის ბრძოლებში 13 გერმანელი გაყლეტა. გვარდიის რიგითმა მალახოვმა 4 ჰიტლერელი მოჰკლა და 8 ტყვედ წამოიყვანა.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში საარტილერიო-საწყმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა იყო. ერთ უბანზე მეტყვიამფრქვევე ამანიზომა ცეცხლგამჩენი ტყვიები დაღუშინა სახლებს, რომლებშიც გერმანელი ჯარისკაცები გროვდებოდნენ. სახლებს ცეცხლი გაუჩნდა. ჰიტლერელები ცეცხლმოდებული შენობებიდან გამოცვივდნენ. მეტყვიამფრქვეველებმა ამანიზოვა, დომოეიროვმა და ბლოხინმა სროლა გააჩაღეს და 20 გერმანელი გაყლიტეს.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე გერმანელთა ასეული ცდილობდა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. როდესაც მოწინააღმდეგე ახლო მანძილზე მოვიდა, ჩვენმა მებრძოლებმა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლა გააჩაღეს. ჰიტლერელები ცდილობდნენ გაქცევით ეშველათ თავისათვის, მაგრამ უალბელივ გაყლეტილ იქნენ. სხვა უბანზე ლეიტენანტ არუთინის ბატარეის არტილერისტებმა მოწინააღმდეგის სამი ძელმიწური საცეცხლე წერტილი დაანგრიეს და საომარი მასალის საწყობი აეფეთქეს.

* * *

გერმანელთა 122-ე ქვეითი დივიზიის 411-ე პოლკის მე-6 ასეულის ტყვე მეთაურმა ლეიტენანტმა ვილჰელმ მიულენბანმა განაცხადა: „კოლისის შუა რიცხვებში მე ქალაქ ბაგენაუს ოფიცერთა სასწავლებელში მიმავლინეს. სწავლა დიდ ხანს რიდი მომიხდა. სექტემბრის დამდეგს გამოგვიცხადეს, მეკადინეობა შეწყვეტილია, ხოლო იუნკრები ფრონტზე გაგზავნესგებიანო. მე ლეიტენანტობა მომცეს, ბალტიისპირეთში დამწიშნეს და ლიბავამდე ზღვით მიეედი. ერთ დღეს სამი ტრანსპორტით ლიბავის ნავსადგურში 2 ათასი ჯარისკაცი და 116 ოფიცერი მოვიდა.

ლიბავაში ჩვენთან მოვიდა საარმირ ჯგუფ „ჩრდილოეთის“ სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი შერნერი. მან სალუტა წარმოსთქვა, რომელშიც შემდეგი განაცხადა: „ჩვენ ყოველგვარ გარემოებაში უნდა შევინარჩუნოთ ფრონტი. ჩვენ გზები არა გვაქვს უკანდასახევად. ოღონდ ერთადაერთი გეაქვს. მაგრამ დროს მოგება კიდევ შეგვიძლია. ძმიმე ბრძოლები მოგველის. მე ულმობლად დაიჭერ ყველას, ვინც დასტოვებს მისთვის მიჩენილ ადგილს მოწინააღ პოზიციებზე. აგრეთვე ჩაცრად მოვიპყრობი ოფიცრებს, თუ მათი ქვეგანაყოფების ჯარისკაცები თვითნებურად დასტოვებენ დაკავებულ პოზიციებს“. უფრო გვიან მე შემდეგი შემთხვევა მიამბეს: შერნერი 409-ე პოლკის განლაგების რაიონში შეხვდა ხუთ ჯარისკაცსა და უნტერ-ოფიცერს, რომელსაც ძმიმე დაჭრილი ფელდფებელი მიჰყავდათ. გენერალმა გალანძღა ისინი და უბრძანა დაეხვრიტათ უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცები. მაგრამ, მიუხედავად სისასტიკისა, ბევრი ჯარისკაცი ბალტიისპირეთს სტალინგრადს ადარებს. როგორც იქ დამთავრდა საქმე გერმანიის არმიის განადგურებით, ისე ბალტიისპირეთის „ქვაბიდანაც“ ვერავინ ვერ დააღწევს თავს“.

ს. მ. კიროვის რჩეული სტატიებისა და სიტყვების გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ს. მ. კიროვის გარდაცვალების 10 წლისთავისათვის ცალკე წიგნად გამოსცა მისი რჩეული სტატიები და სიტყვები. წიგნში, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის პოპულარულ სიტყვებთან ერთად, შევიდნენ მისი ნაკლებცნობილი სიტყვები და სტატიები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პერიოდს ეკუთვნიან.

კრებული იხსნება კიროვის სიტყვით, რომელიც მან წარმოსთქვა დემონსტრაციაზე 1918 წლის 12 მარტს (27 თებერვალს) თებერვლის რევოლუციის წლისთავზე. ამ მომენტში, როდესაც თერგის ოლქი საბჭოთა რუსეთს შეუერთდა.

დიდ ინტერესს წარმოადგენს სამი წერილი ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც დაწერილია კიროვის მიერ 1920 წელს, როდესაც იგი საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

იმ დაუღალავ ბრძოლას, რომელსაც კიროვი ეწეოდა ლენინ-სტალინის პარტიის ერთიანობის განსამტკიცებლად, ახასიათებენ მისი სიტყვები, წარმოთქმული ლენინგრადის 23-ე საგანგებო პარტკონფერენციაზე 1926 წლის 12 თებერვალს, მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის მუშაობის შესახებ 24-ე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე 1927 წლის 27 იანვარს, მგზნებარე სარკასტული, პარტიის მტრების წინააღმდეგ რისხვით აღსავსე სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე, რომელიც დასათაურებულია „ყველაფერი, რაც ფეხქვეშ გვებანდება, უნდა უკეთესადოთ, ხოლო ჩვენ თქვენთან ერთად გზა მხოლოდ წინ გვაქვს და მხოლოდ გამარჯვებებისაკენ!“

კიროვის კრებული ძვირფას სახელმძღვანელოს წარმოადგენს ჩვენი პარტიის ისტორიის და იმ ძირითად ცვლილებათა შესასწავლად, რომლებიც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოხდა სტალინური ხუთწლედების განხორციელების შედეგად.

კრებული კარგად არის გაფორმებული. იგი ილუსტრირებულია სურათებით, რომლებიც ეკუთვნიან ს. მ. კიროვის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს, პორტრეტებით და მხატვრების ბროდსკის, სოკოლოვ-სკალიას, კოჩერგინის სურათების რეპროდუქციებით.

წიგნის ტირაჟი 15 ათასი ცალია. (საკადესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ორჯონიკიძის რაიონი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმმა, რომელიც 4 დეკემბრის შესდგა, მოიისმინა რაიკომის მდივნის ამხ. თ. ქვლივიძის მოხსენება ახალგაზრდების შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ვ. შაკიძემ (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), ცოფიანმ (საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული ინსტიტუტი), ჩაგელიშვილმა (ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), კაკურავამ (სამედიცინო ინსტიტუტი), მალოკინსკიმ (ავტომარემონტო სახელოსნო), ბერეზულაძემ (პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი), ბაკრაძემ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მაისურაძემ (საქართველოს ალკა თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი) და სხვ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მთელ რიგ საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, უნაგირების ფაბრიკის, მე-5 და მე-9 ქალთა სკოლების, მე-9 ვაჟთა სკოლის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად ატარებენ ლექციებს, კონსულტაციებს, საუბრებსა და მოხსენებებს ახალგაზრდებისათვის, რაზმავენ მათ საწარმოო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების შესრულებისათვის. ამის შედეგია, რომ ახალგაზრდები საწარმოებში სტახანოვურად მუშაობენ, ხოლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მაღალ აკადემიურ წარმატებებს აღწევენ.

პლენუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ პირველ საალმშენებლო ქარხანაში და საკონდიტრო ფაბრიკაში სუსტია ახალგაზრდების შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, იშვიათად ტარდება მოხსენებები ახალგაზრდებისათვის, ყურადღება არ ექცევა წრეობრივ მუშაობას, ახალგაზრდები ჩაბმული არ არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტსა და სამედიცინო ინსტიტუტში.

თბილისის მე-8, 32-ე და მე-10 ვაჟთა სკოლებში ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე მუშაობას. ამის შედეგად ადგილი აქვს მოსწავლეთა უდისციპლინობის შემთხვევებს, დაბალია აკადემიური წარმატება.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს აკკა თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

პლენუმმა რაიონის ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

26 კომისრის რაიონი

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში ბევრია მოწინავე საწარმო. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ ხორცკომბინატი, მაკარონის ფაბრიკა, პირის მეორე ქარხანა, მარგარინის ქარხანა და საფერმენტაციო ქარხანა, რომლებმაც ათი თვის გეგმა 120-220 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ ამ მოწინავეების გვერდით არიან ჩამორჩენილი ფაბრიკა-ქარხნებიც, რომლებიც თვიდან თვემდე ვერ ასრულებენ გეგმებს. ამათ რიცხვს მიეკუთვნებიან საკასრე ქარხანა, ქაღალდის ფაბრიკა, წისქვილკომბინატი, ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მეორე განყოფილების დეპო და სხვ.

გუშინ, 4 დეკემბერს, შემდგარმა რაიკომის პლენუმმა განიხილა რაიონის ორი მსხვილი ჩამორჩენილი საწარმოს მუშაობის საკითხი. პლენუმმა მოისმინა ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორის ამხ. ალავიძის და ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მეორე განყოფილების დეპოს უფროსის ამხ. ქაჯაიას მოხსენებები მათს საწარმოებში შრომითი და საწარმოო დისციპლინის დაყენების შესახებ.

ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის საწარმოს ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავენ შრომის სწორი ორგანიზაციისათვის. აქ დაბალია შრომის დისციპლინა. ფაბრიკაში დიდია მუშახელის დენადობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ნაკლებად ზრუნავენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდა კადრების ტექნიკური სწავლებისათვის. მაგალითად, მუშათა საერთო საცხოვრებელს არ ათბობენ. მას არა აქვს განათებაც, საკმაო რაოდენობით არ არის ინვენტარი, ეზო და მისასვლელი გზები მოუკირწყლავია. ცუდად მუშაობს სასადილოც. ტექმინიმუმის წრეებში 90 კაცის ნაცვლად 70 კაცი იქნა მომზადებული, სტახანოვური მუშაობის შემსწავლელი წრეები, რომლებიც 90 კაცს უნდა გავლილ, წელს არც კი მოუწყვიათ. შესრულებული არ არის კვალიფიციური კადრების მომზადების გეგმაც. შრომითი და საწარმოო დისციპლინის მოდუნებამ წუნდებული და დაბალი ხარისხის პროდუქციის გადადება გამოიწვია. რის შედეგადაც ფაბრიკამ 73.000 მანეთის ზარალი ნახა.

მდგომარეობა უკეთესი არ არის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის სამმართველოს მეორე განყოფილების დეპოშიც. შრომის დისციპლინა ირღვევა. დეპოში მოუგვარებელია მუშათა ტექნიკური სწავლება. სწორად არ არის დაკომპლექტებული წრეები და ხშირად იშლება მათი მეცადინეობა. დირექციამ დღემდე ვერ მოაწყო სამუშაოზე გამოცხადების ზუსტი აღრიცხვა. ადგილი აქვს დაგვიანებას, გაცდენებს, კადრების გამოზრდისა და შენარჩუნების ნაცვლად აქ მუშაკთა ხელაღებით განთავისუფლების გზას დაადგნენ. მაგალითად, დეპომ წელს ათ თვეში სამუშაოზე მიიღო 57 კაცი, ხოლო გაათავისუფლა 74 კაცი. პარტკომმა ორგანიზაციამ 7 სექტემბერს განიხილა საკითხი კომუნისტებისა და კომკავშირელების შრომის და საწარმოო დისციპლინის შესახებ და დადგენილებაში ჩასწერა: „პროექტი დამტკიცდეს“. ეს „პროექტი“ დღემდე დოკუმენტებში არ არის, მას აქამდე ადგენენ. შრომისა და საწარმოო დისციპლინის სისუსტე თვის გავლენას ახდენს სახელოსნოების მუშაობაზე, რომლებიც დიდად ჩამორჩენიან გეგმის შესრულებაში. როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. მეტად ხშირია ხაზზე გაშვებული ვაგონების მეორედ და მესამედ სარემონტოდ დეპოში დაბრუნება. მარტო სექტემბერში და ოქტომბერში ვაგონების ხელახლა შეკეთების მოლოდინში 58 კონდუქტორი და 28 ვატმანი 4.638 საათს გაცდა. განყოფილება ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს. აქ ყოველდღე ხაზზე საშუალოდ დადის 17 ვაგონი, ძაშინ როდესაც გეგმით 27 ვაგონი უნდა მუშაობდეს.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ექიტიშვილი (ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა), ჭყონია (ალაღლიის ფაბრიკა), გრიგორიანი (პერის მეორე ქარხანა), ლაზარია, კაკანაძე (რაიონის პროკურატურა), ანდრეევა (ალაკნდიტრო ფაბრიკა), კოხრეიძე (საინსტრუმენტო ქარხანა) და სხვ.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის თაბრიკის და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მეორე განყოფილების დეპოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ცოტად თუ ბევრად ახასიათებენ რაიონის სხვა საწარმოებსაც.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გაბუნიამ.

რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის პლენუმმა დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

სამეურნეო წლის პირველივე დღეებიდან დაეწყვეთ ბრძოლა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენმა შრომამ შესანიშნავი შედეგები მოგვცა 28 ნოემბრისათვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. ნაცვლად 23.715 ტონა ქვანახშირისა, ამოღებულია 24.630 ტონა. უბნის ყველა ცალა გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების ყოველდღიურ გეგმებს. ცალამ, რომელსაც ახალგაზრდა სამთო ტექნიკოსი ი. გაბრიაძე ხელმძღვანელობს, 28 ნოემბრისათვის გეგმის გადაჭარბებით 726 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

ჩვენს უბანში ბევრი სახელმოგვეჭილი ოსტატი მუშაობს. მაგალითად, ორდენოსანი სემიონ ლოსელი ბიძინა თოდიძე ყოველდღიურად ერთის ნაცვლად სამ სანგრეგში მუშაობს. სემიონოლოსის შრომის ახალი მეთოდით ბიძინა თოდიძემ 10 თვეში ქვანახშირის მონგრევის წლიური გეგმა 117 პროცენტით შეასრულა. თოდიძის მაგალითს ბევრმა მიბაძა. სემიონოლოსური მეთოდით მუშაობენ ახლა ჩვენი უბნის ქვანახშირის მნგრეველები ვასილ ცირეკიძე და მედალოსანი სევერიან ქათამაძე.



გამოფენაზე—„ლენინგრადის გმირული დაცვა“ გამოფენილია ხაზენიტო ქვემეხი უფროს სერჟანტ ბ. ხ. ალიმოვისა, რომელმაც მტრის შვიდი თვითმფრინავი ჩამოაგდო. სურათზე: უფროსი სერჟანტი ბ. ხ. ალიმოვი, რომელიც დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „ლენინგრადის დაცვისათვის“, თავის ქვემეხთან. ფოტო გ. ჩერტოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

უაზრო ნახვომი და სემირამიდის ბაღი

სამამულო ომის პერიოდში დაიწერა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც იდეურად და მხატვრულად გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა, განსაკუთრებული სიძლიერით განსახიერდა თანამედროვე ლიტერატურაში პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობა, ხალხის ფიქრები და გრძნობები, წითელი არმიის გმირული ბრძოლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საბჭოთა საქმობლოსადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით არის შთაგონებული ჩვენი მწერლების შემოქმედება. ქართველი მწერლებისა და პოეტების ლექსებმა და მოთხრობებმა, დრამებმა და რომანებმა მკითხველს უფრო ღრმად შეაგრძნობინეს ჩვენი დღეების სიდიადე.

იმ მწერალთა შორის, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ ომის დღეებში, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უდავოდ ეკუთვნის ნიჭიერ პოეტს ალიო მაშაშვილს. უკანასკნელ ხანებში მან გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები, რომელთა მაღალი იდეური და მხატვრული ღირებულება ცნობილია ჩვენი მკითხველებისათვის. მით უფრო საკვალია, რომ ამჟამინდელ ნიჭიერი პოეტის ალამს ეკუთვნის ლექსი „გრიგალი“, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ მეექვსე ნომერშია დაბეჭდილი.

რას წარმოადგენს ეს ლექსი? რა დასკვნამდე მივყეოვართ მის ანალიზს?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ლექსი „გრიგალი“ ალიო მაშაშვილის მხატვრულად ყველაზე უფრო სუსტი და იდეურად მიუღებელი ნაწარმოებია. მეორე მხრივ, მისი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამ ბოლო დროს ზოგიერთი მწერალი თავის შემოქმედებაში ნაკლებ ყურადღებას აქცევს იდეას, სწერს ყველაფერს და ყველაფერზე. ცნობილია, რომ იდეურად გაუმართავი ნაწარმოები ხშირად მხატვრული თვალსაზრისითაც სუსტი გამოდის. „გრიგალი“ ამ დებულების პირდაპირ დადასტურებას წარმოადგენს.

პოეტს ლექსისათვის უწოდებია „ნახტომი მზისკენ“. ნახტომი, რასაკვირველია, არის, მაგრამ არა მზისაკენ. ეს არის იდეურად და მხატვრულად ნახტომი უკან.

ვინ აკეთებს ამ ნახტომს მზისკენ? „ჯადოქარად აფრენილი (!), ბედთან შეურიგალი (დააკვირდით — ბედთან შეურიგალი — **რედ.**) მზისკენ, უკვდავ სიცოცხლისკენ მიმაქრობლებს გრიგალი“. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ლექსის უკვე ამ პირველი ორი სტრიქონიდან რაღაც შორეულად მსგავსი ჰანგი ისმის, თითქოს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის პოეტური გენიის რაღაც უხეირო ვარიაციასთან გვაქვს საქმე.

ვინ არის ეს გრიგალი? პოეტი გვეუბნება, რომ

„იგი ზღვიდან ამოვარდა —
მზისკენ ცეცხლის ნახტომით,
იგი მიწის გულისთქმაა —
ოხვრად ამონახდომი“.

ეს მიწის ოხვრა მზისკენ მიხტის! ვერაფერი შედარებაა, ვერაფერი აზრია! და ისე როგორც ბარათაშვილს მიაქროლებს მერანი, რომელსაც პოეტი სთხოვს მისი „შავად მღელვარი“ ფიქრი ნიავს მისცეს, გადაიაროს ცლდენი და ღრენი, არ შეეფარეოს არც სიცხეს, არც ავდარს, თურმე ჩვენი პოეტის გრიგალიც

„ხან დაღმართში დაეშვება, —
ავა, ყალყზე ადგება,
ხან მთას გრგვინვით გადაუვლის,
ხან ზღვას გადაახტება“.

და მიჰყავს ჩვენი პოეტიც. აქ კვლავ ახალ უცნაურობას ვგებულობთ: მცენარეებს გზაზე ჯგუფ-ჯგუფად სიარული დაუწყიათ:

„გზაზე, **ჯგუფად მიმავალი, მცენარენი** მხვდებიანო“

გვეუბნება პოეტი. ხოლო ამ დროს გრიგალი

„...მიჰქრის, მიჰქრის
ვრიალით და ზარითა“.

პოეტი კი გრიგალთან ერთად (ეს ვერ გავიგეთ როგორ არის — პოეტი ზის ამ გრიგალზე, თუ ფეხდაფეხ მიჰყვება — **რედ.**) მიზანს ეძებს „აღშურვილი **ჩანგის მშვილდ ისარითა**“. კეთილი და პატიოსანი. რაკი პოეტს მიზანი ვერ უპოვნია, ეძებოს, თუმცა საბჭოთა მწერალს მიზანი საძებნელი არ უნდა ჰქონდეს. საინტერესოა აქ მეორე მხარეც. ამდენხანს მუსიკოსებმა იცოდნენ, რომ ჩანგს სიმები ჰქონდა, ხოლო დღეიდან უნდა დაიჯეროონ — ჩანგს მშვილდ-ისარიც ჰქონია, და საჭიროა მეტი ყურადღება, რათა არ გამოგვეპაროს ის ღირსსახსოვარი დღე, როცა პოეტი ჩანგს ალბათ ჯაზიერს ან ზარბაზანს გამოაბამს. რა ვუყოთ, ყველაფერი მოსალოდნელი ყოფილა, ისევე როგორც ღაღადის მიწვდომა „ზეცის ნათელ გუმბათამდე“ და ისეთი ასტრონომიული სტრიქონებიც კი, რომლებიც „ცას სწვდებიან“...

„შემდეგ დაბლა ეშვებიან
ერიამულით, ეღურტულით“.

ბოლოს, როგორც იქნა, გრიგალი გასცდა რაღაც საზღვარს და პოეტიც გვეუბნება:

„საზღვარს გავსცდი და გრიგალმაც
ელვის კვალი დასტოვაო“.

შემდეგ რა მოხდა? — იკითხავს ალბათ მკითხველი. პოეტი გადახედავს განვლილ გზას და გაოცებული რჩება:

„რა შორი გზა გამივლია,
სად მოვსულვარ **მისანი**“.

ეს კიდევ არაფერი, რომ პოეტმა თავის თავს მისანი უწოდა. ამ ლექსში ალიო მაშაშვილმა ისე დაჰკარგა ზომიერების გრძნობა, რომ ლიტერატურაში ცნობილ „მსოფლიო სევდის“ პოეტებსაც კი დაესესხა უიმედობასა და პესიმიზმი. ვფიქრობთ, რომ საბჭოთა პოეტს არ ძეეფერება ეს ყოვლად უპასუხისმგებლო და პოლიტიკურად მავნე შეხედულება:

„დამივლია დედამიწა,
მაინც არ სჩანს მიზანი“.

ან რომელი საბჭოთა პოეტი მოიწონებს ალიო მაშაშვილის ამ ყოვლად ყალბ და პესიმისტურ სტრიქონებს:

„იქნებ ბედმაც **მიღალატოს, ხელი მკრას** და **გამწიროს**“...
„იქ სიკვდილმა მაინც მნახოს
და ცბიერი თაყვანით
გამიღიმოს, ფრთა შემახოს,
დამირწიოს აკვანი.
დამაძინოს, დამაფაროს
თალხისფერი ქაოსი,
არასოდეს არ მეღირსოს
ხილვა სააქაოსი“.

არა, ეს ლექსი არ შეჰფერის ჩვენი პოეზიის არც მხატვრულ ღირსებას და არც იდეურ სიმტკიცეს. ალიო მაშაშვილის „გრიგალი“ მიჩნეულ უნდა იქნას ყალბ და მავნე ნაწარმოებად, რომელიც არასწორ ორიენტაციას გვაძლევს. საბჭოთა მკითხველი სამართლიანად დაჰგმობს და გაემიჯნება მას.

სამწუხ

ილიჩის სახელობის შახტა—სემიოლოსელთა მოძრაობის საშობლო—ჰიტლერელებმა ძირფუხვიანად მოსპეს. ამ შახტის ყოფილმა მბურღავმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ი. სემიოლოსმა, ამჟამად სამადნოს სამმართველოს მმართველმა, შახტი სარეკორდოდ მოკლე ვადაში მოამზადა ასამუშავებლად. სურათზე: ამხ. სემიოლოსი (მარცხნივ) შახტის დათვალიერების შემდეგ თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მეშახტეებს.

ფოტო რ. ბახელეისა. (საკდესის ფოტოკორონიკა).

მოსკოვის ამგები

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კიროვის დღეები მოსკოვში

მოსკოვის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ეწყობა რევოლუციის მეგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნისადმი და სოციალისტური სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ჰატარა ბიბლიოთეკებით. სოლომონ სამხარეო, რესპუბლიკური მუზეუმებს წინადადება მიეცათ მოაწყონ სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მოძძრავი გამოფენები სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემებზე.

საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მინსახკომის 1 დეკემბრის ცნობებით)

რაიონები	თავთავიანი მარცვლეული კულტურების ბუნების მესრულებელ პროცენტებით		ზრალად ხვნის ადგილის შესრულება პროცენტებით
ქუთაისი	101,7		
წყალტუბო	102,9		
სამტრედია	100,0		
წულუკიძე	146,5		
ვაკი	108,0		
ძაიაკოვსკი	56,3		
ზესტაფონი	121,2		
ჩხარი	150,0		
ჭიათურა	99,8		
საჩხერე	100,1		
ორჯონიკიძე	107,3		
ონი	101,2		
ამბროლაური	100,0		
ცაგერი	94,5		
ქვემოსვანეთი	84,0		
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	102,0	99,3	
ახალქალაქი	110,0	91,6	
ბოგდანოვკა	—	86,4	
ახალციხე	94,6	76,6	
ადიგენი	100,2	96,5	
ასპინძა	104,1	142,1	
ხაშური	100,3	102,9	
ქარელი	102,2	79,4	
გორი	102,6	74,3	
კასპი	100,6	46,1	
ბორჯომი	100,1	83,2	
წალკა	—	60,5	
დუშეთი	100,2	62,3	
თეთრი წყაროო	100,2	99,9	
თიანეთი	102,0	80,3	
გურჯაანი	87,0	16,7	
სიღნაღი	86,7	11,2	
წითელწყაროო	100,0	33,2	
თელავი	98,3	16,2	
ყვარელი	94,3	54,4	
ლაგოდეხი	100,6	62,2	
თბილისი	101,7	100,7	
მცხეთა	100,4	70,4	
ყარაია	100,2	30,0	
ბორჩალო	100,1	86,1	
ბოლნისი	100,2	25,9	
საგარეჯო	100,1	10,2	
ბაქურიანი	90,5	15,9	

დეკრეტები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ვენლოს (ჰოლანდია) დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დიდი წარმატება მოიპოვეს მდინარე მაასზე გერმანელთა ხიდწინა სიმაგრის ლიკვიდაციაში და თითქმის სრულიად გასწმინდეს ეს რაიონი მოწინააღმდეგისაგან.

რურის ხეობაში მოკავშირეთა ჯარებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში ლინდერნის რაიონში და დაიკავეს პუნქტები რურდორფი და ფლოსდორფი. იულიხის სამხრეთით მოკავშირეთა ნაწილებმა ინდერნთან გადალახეს მდინარე ინდე, მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი და აგრეთვე დაიკავეს ლუხერბერგი.

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ლანგერვეს ჩრდილოეთით უტევენ, დაიკავეს ლუხენი და მიადგნენ ავტოსტრადას, რომელიც აახენს კელნთან აერთებს. პიუტგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ნაწილებმა ბრანდენბერგი დაიკავეს.

საარის ხეობაში მოკავშირეთა ჯარებმა მდინარე გადალახეს საარლაუტერნთან. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ნაწილებმა ვილპელფბრონს მიაღწიეს და ორ მილზე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადასწვეს გერმანიის საზღვარი. საარუნიონი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. საარუნიონის აღმოსავლეთით მოკავშირეებმა ორი მილით წაიწიეს წინ და რამდენიმე სოფელი დაიკავეს. ამ რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ნაწილებმა ჰაგენაუს გარეუბნებს მიაღწიეს.

ზემო ვოგეზების სამხრეთ ნაწილში გაატარებული ბრძოლების შედეგად მოკავშირეებმა დაიკავეს მაღლობი, რომელიც დაპყურებს ხეობას მდინარე ტიურის ქვემო წელის რაიონში.

მაინდანეკში ჩადენილი ბოროტმოქმედებათა მონაწილე ჰიტლერელების გასამართლება

ლიუბლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ, მაიდანეკში მოთარეშე ექვსი გერმანელი ფაშისტი ბანდიტის პროცესის მესამე დღეს, სასამართლომ მოისმინა პროკურორის მოთხოვნით გამოწვეული მოწმეთა ჩვენებანი.

მოწმე სობოლევსკიმ, მაიდანეკში გერმანელი ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობის გამოძიებელი პოლონეთ-საბჭოთა კომისიის მთავარმა მდივანმა, სასამართლოს აცნობა შემაძრწუნებელი ციფრები და ფაქტები.

ჩვენ, ამბობს სობოლევსკი, გავთხარეთ 18 ორმო, სადაც აღმოვაჩინეთ წამებულთა მილიონნახევარი გვამი. მაიდანეკში ჩატარებულმა მოწმამაკ ნიკოლაევებთა აღრიცხვამ, რომლებითაც გერმანელები ელტდნენ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს, ცხადყო, რომ საწამლავ ნივთიერებათა დარჩენილი მარაგი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მოეხრჩოთ სულ ცოტა ოთხი მილიონი კაცი. მაიდანეკში შეიქმნა 6 მინდორი, რომლებსაც ამატებენდნენ გერმანელებიც მიერ დამწვარი პატიმრების ფერფლით. გერმანელთა გეგმები, რომლებიც ჩვენ ხელში ჩაგვეკარდა, მოწმობენ, რომ ჰიტლერელები აპირებდნენ კიდევ ორი ასეთი მინდვრის შექმნას.

მოწმეთა ჩვენება ცხადყოფს, რომ მაიდანეკი იყო მრავალი ასეთასობით ადამიანთა არა მარტო ტანჯვა-წამებისა და მოკვდინების ადგილი, არამედ იყო ისეთი ადგილიც, სადაც გერმანელ ფაშისტთა ბანდა მილიონობად ლირებულ ქონებას იძენდა. დოკუმენტალურად დადგენილია, რომ გერმანიაში გაიგზავნა მაიდანეკში დახოცილთა კუთვნილი 18 ვაგონი სხვადასხვა ქონება. დოკუმენტებში აღმოჩენილია გერმანელი ქალებისა და კაცების 200-ზე მეტი ბარათი-განცხადება; ისინი თხოულობენ, რომ მათ მისცენ დახოცილი ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების ქონება (უმთავრესად ტანსაცმელი). განსაკუთრებით ბევრი თხოულობდა სამავშვო ეტლებს, რომლებიც რამდენიმე ათასი იყო.

„ვუცხადებ სასამართლოს,—ამბობს მოწმე ქალი მინცი,—რომ მე თვითონ დავინახე, რომ გესტაპოელებმა დედებს ხელში გაძოსტაცეს ბავშვები და კრემატორიუმის ღუმელში შეჰყარეს. ძუძუთა ბავშვების ბედი საშინელი იყო, ყველაზე უფრო ხშირად კრემატორიუმის მოედანზე მიდიოდნენ მანქანები და პირდაპირ ჩაყრიდნენ ბავშვებს მიწაზე. შემდეგ გერმანელები გამოუშვებდნენ სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს, რომლებიც საცოდავ ბავშვებს კრემატორიუმში მიათრევდნენ. ბევრნი ამის დამნახველნი ჭკუაზე შეიშალნენ.

სასამართლომ მისი ცნობა, რომ ამ საქმეზე პასუხისგებაში მიეცემულა ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა დამნაშავემ, სადისტმა პოლმანმა, რომელმაც პირადად დახოცა ათასობით ადამიანი, თავი ჩამოიხრჩო თავის საკანში.

ფაშისტ ჯალათებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს

ლიუბლინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა ლტოლვილების საქმეთა ამერიკის საშმართველოს ცნობა პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში, მათ შორის მაიდანეკში, გერმანელთა მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობა საქმეს დაერთო. შემდეგ სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე. პირველ სიტყვას ამბობს პროკურორი ჩესლიუკი.

„ევროპის ხალხთა მსაზრიანი ელტა,—ამბობს ჩესლიუკი,—ხდებოდა ჰიტლერელების მიერ წინასწარ შემუშავებული სახელმწიფო გეგმებით. მარტო პოლონეთში გერმანელებმა ვაჟლიტეს 6-7 მილიონი კაცი მშვიდობიანი მოსახლეობიდან. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. გერმანელმა ოკუპანტებმა მთლიად გააპარტახეს და აოხრეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ქალაქები და სოფლები აღგილია პირისაგან მიწისა. ჩვენ ვართ ისეთი გაპარტახების მოწმენი, როგორიც ჩვენს ხალხს თათარი შემოსევის დროიდან აღარ უნახავს. წინააღმდეგ ფაშისტი მეთაურების ცრუ და თავხედური განცხადებისა პოლონური კულტურისადმი ვითომ მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ, ჰიტლერელთა ნამდვილმა დამოკიდებულებამ პოლონური მეცნიერებისა და კულტურისადმი თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ოსვენციმში, ტრავლინკასა და მაიდანეკში. მაიდანეკი იმისი ნიშანია, რასაც გერმანელები მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს უმზადებდნენ. მხოლოდ წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის მეოხებით ჩაჭრნენ მაიდანეკის ღუმელები. წითელი არმიის დეკემბრიბმა შესწყვიტეს გერმანელი ჯალათების უაღრესად დანაშაულებრივი მოქმედება მაიდანეკში“.

პროკურორმა დაწერილებით დაახასიათა თვითეული ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობა და სთქვა: „სამართლიანობისა და ჩვენი ხალხის ადამიანურ უფლებათა, ღირსებისა და თავისუფლების სახელით მე ყველა ბრალდებულისათვის სიკვდილით დასჯას მოვითხოვ“.

შემდეგ მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა ვიცე-პროკურორმა სავიცკიმ.

პროკურორისა და ვიცე-პროკურორის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს დამცველებმა.

სასამართლოს სხდომის დარბაზში და ქუჩაში ხმამაღლა მოლაპარაკეებთან ლიუბლინის ათიათასობით მცხოვრები დიდი მღელვარებით იძენდა პროკურორების სიტყვებს. წალი ერთსულოვნად იწონებს გერმანელი ფაშისტი მტარვალებისათვის ძალაცი სასჯელის მოთხოვნას.

ლიუბლინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალურმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა იმ ხუთი გერმანელი ფაშისტი ჯალათის საქმეზე, რომლებიც მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში თარეშობდნენ—ფოგელის, ჩუსტენმაიერის, ტერნეკის, შოლენისა და ოტალის საქმეზე. განაჩენი სავსებით ადასტურებს მათს უშუალო მონაწილეობას როგორც მშვიდობიან მოქალაქეთა — კაცთა, ქალთა და ბავშვთა, ისე საბჭოთა სამხედრო ტყვეებს წამებასა და მკვლელობაში. ხუთივე ბრალდებულს გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი—ჩამოხრჩობა.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის იუსტიციის განყოფილებამ შეუამდგომლობით მიმართა დეკრეტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნაწილობრივი ცვლილების შესახებ (545 მუხლი), რომლის თანახმადაც განსაკუთრებული ხასიათის დანაშაულს შემთხვევაში პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის იუსტიციის განყოფილების ხელმძღვანელს ეფლება ენიჭება ნება დართოს სიკვდილით მასჯის განაჩენი საჯაროდ შესრულდეს. ამის შესაბამისად და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის იუსტიციის განყოფილების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზი ხოთი დამნაშავის სიკვდილით დასჯა—ჩამოხრჩობა საჯაროდ მოხდება.

ლიუბლინში სიკვდილით დასაჯეს მაიდანეკში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მონაწილე ჰიტლერელები

ლიუბლინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს მაიდანეკში სისრულეში მოიყვანეს პოლონეთის სპეციალური სასამართლოს განაჩენი ხუთი ჰიტლერელის საქმეზე, რომლებსაც ჩამოხრჩობის საშუალებით სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი მაიდანეკის „სიკვდილის ბანაკში“ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

მოედანზე, სადაც სიკვდილით დასჯა სწარმოებდა, 20 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა. შეკრებილთა რიგებიდან გაისმოდა წყევლა ჰიტლერელი ჯალათების მიმართ და შეძახილები: „ესე უნდა მაგათ!“, „სიკვდილი ფაშისტ ბოროტმოქმედთ!“. ბოროტმოქმედ ჰიტლერელთა სიკვდილით დასჯამ საერთო მხურვალე მოწონება გამოიწვია.

ამერიკელი კორესპონდენტი ბელგიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ჰმ“-ს ბრიუსელელი კორესპონდენტი ული ეხება ბელგიაში არსებულ მდგომარეობას და სწერს: ახლანდელი კრიზისი წარმოიშვა იმის შედეგად, რომ ბელგიის მთავრობა და პარლამენტი ცდილობდნენ ამ ქვეყნის მართვას და ეგულებელკოფდნენ ბელგიაში ომისა და ოკუპაციის მრავალი წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს. ცხადია, პარლამენტს, რომლის რწმუნებათა ვადა ერთი წლის წინათ გავიდა, არ შეუძლია დაკმაყოფილოს ბელგიელი ხალხი ძლიერ შეშფოთებულია ბელგიელი რეაქციონერების მტკიცე ფრონტის შექმნით. ამრიგად,—სწერს კორესპონდენტი,—ჯერ სამი თვეც არ გასულა განთავისუფლების შემდეგ, რომ ბელგიაში ძალაუფლების განხორციელება დაიწყო ეკლიანი მავთულის, შეიარაღებული ყანდარმების, ტანკების დახმარებით, მიტინგების აკრძალვის შესახებ დეკრეტების გამოცემის საშუალებით და სხვ.“.

ინგლისელი კორესპონდენტი ბელგიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). სამხედრო კორესპონდენტი სოლონი, რომელმაც სამი თვე დაჰყო ბელგიაში, გაზეთ „ნიუს ქრონიკლში“ სწერს, რომ რამდენადაც მან შეძლო გამოერკვია, წმენდა ბელგიაში უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ დაატყვევებინა მთელი რიგი პირები, რომელნიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ. მაგრამ დიდ როლს არ ასრულებდნენ, მაშინ როცა თვალსაჩინო პირები, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ და თავს იმართლებენ იმით, რომ ისინი „იძულებული გახდნენ ასე მოქცეულიყვნენ“, თავისუფლად დადიან.

„მე იმის მოწმე ვიყავი,—სწერს კორესპონდენტი,—რომ ერთმა ოფიციალურმა პირმა, რომელსაც „დიდი სიმოვნებით“ ეკავა გერმანელთა ოკუპაციის დროს გარკვეული თანამდებობა, იხმო წინააღმდეგობის ორგანიზაციის სტრიაში. დაბომბეა ხელსაწყოებით ხდებოდა. „მფრინავი ციხეების“ ერთი შენაერთი ბომბავდა მოწინააღმდეგის ობიექტებს ვენის რაიონში. მტრის ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ სუსტი წინააღმდეგობა გასწიეს.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმოხილველი იუწყება, რომ საბერძნეთის მთავრობიდან გამოვიდა ექვსი მინისტრი—ეამის (წინააღმდეგობის ორგანიზაციის გაერთიანება—„ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტი“), წარმომადგენლები. ამ მინისტრებმა უარი გაანცხადეს ხელი მოეწერათ დეკრეტზე, რომელიც ითვალისწინებს პარტიზანული რაზმების დაშლასა და განიარაღებას.

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საბერძნეთში მყოფ ინგლისის შეიარაღებულ ძალთა სარდალი გენერალი სკობი საბერძნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა ჯგუფისადმი მიმართულ ბრძანებაში სწერს, რომ იგი წინადადებას აძლევს მათ დაუყოვნებლივ და ეფექტურად შეასრულონ საბერძნეთის მთავრობის ინსტრუქციები.

სკობის ამ ბრძანებასთან ერთად საბერძნეთის სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გამოსცა ყველა პარტიზანული რაზმების განიარაღების შესახებ.

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს საბერძნეთის მთავრობის პოლიციამ ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლა აუტეხა ეამის მიერ მოწყობილი დემონსტრაციის რამდენიმე ათას მონაწილეს. სახლების კედლებს უკან და საფრთხეებზე ჩასაფრებული პოლიციელები ათასობით ტყვიას უშენდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც მიწაზე წოლებოდნენ გამანადგურებელი ცეცლის ქვეშ. მოკლულები წაიღეს. დაჭრილები წაიყვანეს ორი საბარგო მანქანით, როდესაც დემონსტრანტების მეორე კოლონა კვლავ გამოჩნდა იმავე რაიონში, პოლიციელებმა სროლა გააძლიერეს და გამოიყენეს უფრო მძიმე იარაღი, მათ შორის ხალმსატყორცნები.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, რამდენადაც გამორკვევა შეძლება, დემონსტრანტები შეიარაღებული არ ყოფილან. სროლის ნახევარი საათის შემდეგ დემონსტრანტები გადაადგეგეფდნენ და გაერთიანებულ ერთა დროშებით განაგრძეს ქალაქში სვლა.

საბერძნეთში მყოფ ინგლისის შეიარაღებულ ძალთა სარდალთა გენერალმა სკობიმ განაცხადა: „ძოძხდარ ამბებში ინგლისელ ჯარები არ მონაწილეობდნენ“.

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის ათენიდან იუწყება სამხედრო ხელისუფლებამ ათენსა და პირეიში აკრძალეს ქუჩებში გამოსვლა 19 საათიდან 6 საათამდე. მთელ დღეს სწარმოებდა ბრძოლები საბერძნეთის არმიის ყოფილ ოფიცრთა ჯგუფსა და ელასის („ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის“—ეამის ამბეგდრო ორგანიზაცია) რაზმებს შორის. გამოყენებული იყო ძმიმე ტყვიამფრქვევები და ავტომატები. დღეს დღისით საბერძნეთის თვითმფრინავებმა, აგრეთვე „სპიტფაირმა“ მარკის თვითმფრინავებმა და ინგლისის ჩუბუქმა ბომბდამშენებმა მოახდინეს სადემონსტრაციო გაფრენა ქალაქის თავზე.

ლონდონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, საბერძნეთის მთავრობამ ათენში გუშინ მომხდარ დემონსტრაციებთან დაკავშირებით ათენსა და პირეიში სამხედრო წესები შემოიღო.

ლონდონის რადიოს კორესპონდენტი პიქსონი ათენიდან იუწყება, რომ ამჟამად თითქმის მთელი ქალაქი მოკლებულია ელექტროშუქსა და სატელეფონო კავშირს. დღის დილით მოხდა ხანმოკლე სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ერთი პოლიციელი და ერთი ოფიცერი.

ლონდონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ათენიდან იუწყება, გუშინ დღისით ეამ-ის („ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“) შტაბმა გამოაცხადა, რომ დემონსტრაციისათვის სროლის ატეხის დროს მოკლულ იქნა 15 და დაიჭრა 148 კაცი და რომ დღეთა ათეულში 4 დიდი შეტაკება მოხდა.

ათენის ქუჩებში პატრულობენ ინგლისელთა ტანკები, რომლებიც იცავენ საბერძნეთის ეროვნული საგზაო, აგრეთვე „ვოლისის“ ავტომობილები, რომლებზედაც დადგმულია ტყვიამფრქვევები. საბრძოლველად გამოწყობილი ინგლისელთა ჯარები დგანან მთავარ ქუჩებში და სამხედრო დაწესებულებებთან.

პოლონელი ხალხი მოითხოვს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დროებით ნაციონალურ მთავრობად გარდაქმნას

ლიუბლინი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ პოლონეთის ტერიტორიის ქალაქებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ფართო მასების მოძრაობა იმისათვის, რომ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი დემოკრატიული პოლონეთის დროებით მთავრობად გარდაიქმნას. როგორც „გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ იუწყება, 26 ნოემბერს ვარშავა-პრაგის მოსახლეობის მიტინგზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ჩვენ ვარშავის მცხოვრებლები, რომლებიც შეკავშირებენ მიტინგზე და გავეცანით პოლონეთში არსებულ მდგომარეობას, ვთვლით, რომ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მოღვაწეობის შედეგები, რაც მიღწეულია რამდენიმე თვის განმავლობაში მოწმობენ, რომ დადგა დრო, რათა ეს კომიტეტი დროებით მთავრობად გარდაიქმნას. ამიტომ შეკრებილნი მივმართავთ კომიტეტს, და ნარდოდვას, რომ მან დასვას ეს საკითხი თავის უახლოეს სხდომაზე, მხედველობაში მიიღოს ვარშავის მცხოვრებთა და, უეშველია, მთელი პოლონეთის მცხოვრებთა სურვილი და შექმნას დროებითი მთავრობა, როგორც პოლონეთისა და პოლონელი ხალხის აღმასრულებელი ხელისუფლება“.

ანალოგიური რეზოლუცია მიღებულ იქნა ლიუბლინის საკოვეოდოს პროფესიული კავშირების საბჭოს სხდომაზე.

პროფესიული კავშირების საბჭო ლიუბლინის საკოვეოდოს მუშათა კლასისა და მშრომელი ინტელიგენციის სახელით მოუწოდებს დემოკრატიულ პარტიებს, რომ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი გარდაიქმნას დროებით ნაციონალურ მთავრობად, რომელიც „ბოლომდე მიიყვანს ჩვენს ომს გერმანელთა უღლისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლებისათვის და უზრუნველჰყოფს დემოკრატიული წესწყობილების სიმტკიცეს თავისუფალ, ძლიერ და დამოუკიდებელ რეჩ პოსპოლიტაში“.

ლიუბლინის მთელ რიგ საწარმოებში და კონთეატრო „ბალტიკსა“ და „ამოლოში“ შესდგა ლიუბლინის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც გამოტანილია რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ, რომ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი გარდაიქმნას დროებით ნაციონალურ მთავრობად.

გუშინ კინოთეატრ „რიალტოში“ შესდგა პოლონეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობისადმი მიძღვნილი კრება. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

შეკრებილნი აღნიშნავენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ისტორიულ დამსახურებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, დემოკრატიული წესწყობილების შექმნასა და პოლონეთის აღდგენის საქმეში. შეკრებილნი აღნიშნავენ პოლონეთის რეაქციისა და პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის სრულ გაკოტრებას და მოუწოდებენ კრაიოვა რადა ნაროდოვას გარდაქმნას პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი დროებით სახალხო მთავრობად.

ანალოგიური დადგენილებანი გამოიტანეს სპორტ-პარკის ქარხნის, თამბაქოს თაბრიკისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშებმა.

ღეგიონერთა ბანდა თავს დაესხა მუშათა კრებას ბუქარესტში

ბუქარესტი, 28 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ დღეებში რუმინელ ოფიცერ-ლეგიონერთა (ფაშისტთა) ჯგუფი თავს დაესხა საღამოს მონაწილეებს, რომელიც მოწყობილი იყო მელიორონე მუშათა პროფკავშირის მიერ ბუქარესტის გარეუბანში. საღამოს შემოსავალი განკუთვნილი იყო ჩრდილოეთ ტრანსილვანიისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაჭრილთა დახმარების ფონდისათვის. დასჭრეს რამდენიმე და მოჰკლეს ორი მუშა.

ღეგიონერთა დაპატიმრება კონსტანცაში

ბუქარესტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 28 ნოემბერს კონსტანცაში დაიპატიმრეს მრავალი ლეგიონერი (რუმინელი ფაშისტები) და ის პირები, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ, დაპატიმრებულთა შორის არიან კონსტანცის გენერალური პროკურორი აგრარუ, ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, კონსტანცის ნავსადგურის კომენდანტი და სხვები.

ბუქარესტში დაიპატიმრეს 13 ლეგიონერი, მათ შორის ბუქარესტის პრიმარიის (ქალაქის საამართველო) ხელმძღვანელი კოსტაკეკე.

ამერიკის „მფრინავი ციხეები“ თავს დაესხნენ ტოკიოს

ვაშინგტონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დღეს ზამძლავრი „მფრინავი ციხეების“ B-29 დიდი ძალები, რომელთაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, კვლავ დაესხნენ თავს ტოკიოს.

ტოკიო, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის საიმპერატორო ბანაკმა გამოაცხადა, რომ დღეს დაახლოებით 70 ბომბდამშენი B-29, რომელთაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, თავს დაესხა ტოკიოს მიდამოებს. თავდასხმამ საათნახევარს გასტანა.



კემეროვოს ქარხანა „კარბოლიტი“ ამზადებს პლასტმასის ჭურჭელს. სურათზე: კონტროლიორები ამოწმებენ მზა პროდუქციას.

ფოტო ა. ფატეევისა (საკდესის ფოტოკორონიკა).

ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

2 დეკემბერს, საქართველოს ალკკ კირეკომის ინიციატივით ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში მოეწყო რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. კერძაიამ.

ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნოლიანინმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ი. გრიშაშვილის საღამო

2 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ორდენოსანი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა დოცენტმა გიორგი აბზიანიძემ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით პოეტმა ს. ფაღალიშვილმა, უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა შანიძემ.

გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ სტუდენტები გიფრინდაშვილი, ციბაძე, ლიქოკელი, გორგანელი, ჭინქარაული, არაბული, ხუნაშვილი.

სტუდენტებმა იუბილარს მიართვეს ყვავილების თაიგული. ბოლოს რამდენიმე ლექსი წაიკითხა თვით პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

საღამო დამთავრდა კონცერტით.

კონსულტაცია

7 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეკელიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთათვის შესდგება კონსულტაცია. თემა:

„სახალხო პატრიოტიზმის ძალა“.

კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **მირიანაშვილი** (ქართულ ენაზე) და ამხ. **ახალიანი** (რუსულ ენაზე).

თეატრებში

5 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—„პატარა კახი“. **რუსთაველის სახელობის**—„ამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის**—„მარგარიტა გოტიე“. **გრიბოედოვის სახელობის** — „ფლოტის ოფიცერი“. **სომხური**—„ვარაზდატ“. **ახუნდოვის სახელობის** — „აშუღ ყარიბი“. **მუსიკალური კომედიის**—„სილვა“. **სანკულტურის**—„რიისა ტარასოვა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გიდარი“. **რუსული**—„შენი სახლი“. **თოჯინების ქართული**—„ნანატეკეში“. 6 დეკემბერს—„ქარიშხალში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1944 წლის 15 დეკემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მოვალეობის აღმსრულებელი **გიორგი ალექსანდრეს-ძე ქანელოფლოტოვ-მელიქიშვილი** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ურარტუს სამეფოს წარმოქმნა“.**

ოფიციალური ოპონენტები: **აკადემიკოსი ს. ჯანაშია** და **ისტორიულ მეცნიერებათა** კანდიდატი **დოცენტი მ. ბერძნიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში **ინსტიტუტის** ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დირექცია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 13 დეკემბერს, დღის 2 საათზე, მარის ქ. № 1 (მთავარი შენობა), აუდიტორია № 86, **შალვა ვიქტორის